სამაგისტრო პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

სამაგისტრო პროგრამა: ***ზოგადი მენეჯმენტი (General Management)***

პროგრამის ხანგრძლივობა: ***2 აკადემიური წელი (120 კრედიტი)***

კურსდამთავრებულს ენიჭება: ***ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის***

აკადემიური ხარისხი (MBA in General anagement)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

გიორგი შიხაშვილი

- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა
- ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2, ოთახი №608
  ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
  (832) 30 32 17; 899 97 54 24,
  e-mail: geokeria@yahoo.com

- ბოლო 5 წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები:
  - ✓ მენეჯმენტი
  - ✓ პროექტ-მემეჯმენტი
  - ✓ საერთაშორისო პროექტების მართვა
  - ✓ ეკოლოგიური მენეჯმენტი
  - ✓ არაკომერციული ორგანიზაციების მართვა
- სამეცნიერო კვლევის სფეროები:
  - ☑ მენეჯმენტის თეორია და მმართველობითი პრაქტიკა
  - ☑ პროექტების მართვის თეორია
  - ☑ თეოლოგიური ეკონომიკა და საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობის მართვა

☑ მცირე ბიზნესის ორგანიზაცია
☑ ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო დისციპლინების სწავლების უახლესი ტექნოლოგიები

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების და/ან ეკონომიკის სფეროში); ფლობდეს უცხოურ ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენას B1 დონეზე. მისაღები გამოცდები ტარდება უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

- **მიზანი** – პროგრამის მიზანია, მოამზადოს მენეჯერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზაციების ბიზნეს-სტრატეგიების დაგეგმვას, ეფექტურ მართვას, ორგანიზაციულ დაპროექტებას და ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებას. სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულებმა უნდა შეეძლოთ წარმატებით გადაჭრან სამმართველო, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საფინანსო, ინფორმაციულ-ანალიტიკური, სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური, საკონსულტაციო, ინოვაციური და სხვა სახის ამოცანები.
- **შედეგი** – მომავალმა მენეჯერმა უნდა იცოდეს:

☑ ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები და ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირების პირობები (ფისკალური, ფულად-საკრედიტო, სოციალური, საინვესტიციო და სხვა პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები)

☑ მენეჯმენტის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები, ბიზნეს-ორგანიზაციის მართვის ინტეგრირებული სისტემების კომპონენტები

☑ ინფორმაციის მიღება და დამუშავება, აგრეთვე მათემატიკური მოდელირებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების, სოციალურ-ეკონომიკური დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენება

☑ მიკროეკონომიკურ დონეზე ორგანიზაციული პოტენციალის შეფასება და ბიზნესის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება, პროექტული მენეჯმენტის განხორციელება

☑ ბაზრის მარკეტინგული კვლევა და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრმა სწავლის პერიოდში უნდა გამოიმუშაოს შემდეგი უნარ-ჩვევები:

- სამეწარმეო ამოცანებიდან გამომდინარე, ინტეგრირებული პროექტების დამუშავება და სტრატეგიების (ბიზნეს-გეგმების) რეალიზაცია

- ლიტერატურული წყაროებისა და პრაქტიკული მონაცემების კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის გზით დასაბუთებული დასკვნების შემუშავება
- ჯგუფური მუშაობისა და მოლაპარაკებების წარმოების ტექნოლოგიაა
- კომუნიკაბელურობა და ობიექტური თვითშეფასება
- გაწეული მუშაობის ანგარიშების და რეფერატების, სტატიებისა და პუბლიკაციების მომზადება და რედაქტირება
- პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში ამოცანების დასმა და გადაჭრა
- სტრატეგიული და ოპერაციული მენეჯმენტის სისტემური გამოკვლევა, ზოგადი ტენდენციებისა და სიტუაციების კრიტერიალური ანალიზი
- სწავლის აქტიური მეთოდებისა და პროფესიული დახელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებით ხელმძღვანელობის ინდივიდუალური სტილი.

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დაძლევის შემდეგ, მაგისტრმა უნდა შეძლოს ცოდნისა და პრობლემის გადაჭრის უნარის გამოვლენა ნებისმიერ გარემოში. მას უნდა გააჩნდეს ცოდნის ინტეგრირებისა და თვითგანვითარების ჩვევები, ლოგიკური მსჯელობისა და დასკვნების დასაბუთების, აგრეთვე შემოქმედებითი საქმიანობის უნარი. მანვე უნდა შეძლოს დამოუკიდებელი სწავლისა და სწავლების ორგანიზება, საჯარო გამოსვლები და საქმიანი შეხვედრების წარმართვა.

- **დასაქმება.** კურსდამთავრებულებს ფართო პროფილით განათლება საშუალებას აძლევთ წარმატებით დასაქმდნენ ეკონომიკური, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში, კერძო და სახელმწიფო სექტორის საწარმოთა მენეჯერებად, სახელმწიფო მმართველობის დაწესებულებებში. მათ ასევე წარმატებით შეუძლიათ იმოღვაწეონ არაკომერციული და არასამთავრობო ორგანიზაციების ადმინისტრატორებად, აგრეთვე აწარმოონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და მმართველობითი კონსალტინგი.
- **სწავლის გაგრძელება.** MBA მაგისტრი სპეციალობით ზოგადი მენეჯმენტი, რომელსაც მიენიჭება მენეჯერის პროფესიული კვალიფიკაცია, მომზადებულია დოქტორანტურაში DBA და PHD პროგრამებით განათლების გასაგრძელებლად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „ზოგადი მენეჯმენტი“

საკითხები მისაღები გამოცდისათვის
2008-2009 შემოდგომის სემესტრი

1. მეწარმეობის ორგანიზაციული ფორმების დაფუძნება და მართვა
2. საწარმოთა თანამშრომლობისა და გაერთიანების ფორმები
3. მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციები
4. მენეჯმენტის ძირითადი სკოლები
5. ოპერაციათა მართვა მენეჯმენტში
6. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და შედგენის ორგანიზაცია
7. ორგანიზაციის მიკრო გარემო
8. ორგანიზაციის მაკრო გარემო
9. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპები
10. ორგანიზაციის მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფა
11. რისკების მართვა ბიზნესში
12. მარკეტინგული მართვის მეთოდები და ტექნოლოგია
13. მარკეტინგ-მენეჯმენტის კონცეფციები
14. წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები
15. სამეწარმეო ლოგისტიკა
16. ორგანიზაციული ქცევა
17. მენეჯმენტისადმი მეცნიერული მიდგომები
18. მენეჯერების კლასიფიკაცია და სამმართველო როლები
19. მართვის მეცნიერების ევოლუციის ეტაპები
20. მენეჯმენტის მეთოდების სისტემა
21. ორგანიზაციის შიგა არის ელემენტების ურთიერთკავშირი
22. მენეჯმენტის ზოგადი ფუნქციები
23. მოტივაციის პროცესი და მოტივაციის ფაქტორები
24. მოტივაციის თეორიები
25. გადაწყვეტილების მიღების მეთოდები და მოდელები
26. მმართველობითი კონტროლის სისტემა
27. კომუნიკაციის მენეჯერული სისტემა
28. ძალაუფლება, გავლენა და ავტორიტეტი
29. კონფლიქტის სახეები და გადაჭრის მეთოდები
30. ორგანიზაციული კულტურა და ხელმძღვანელობის სტილი
31. კონცეფციები ლიდერობის შესახებ
32. ფინანსური მენეჯმენტის სისტემები
33. ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა
34. პერსონალის ეფექტიანი მოტივაცია
35. საერთაშორისო მენეჯმენტის სტრატეგია
36. ორგანიზაციული ცვლილებების მართვა და ორგანიზაციული განვითარება
37. არაფორმალური ჯგუფები და გუნდური მართვა
38. ხარისხის მართვა
39. მცირე ბიზნესის მართვა
40. სამეწარმეო სტრატეგიის შემუშავება და მართვა

ლიტერატურა:

1. თ. ხომერიკი. მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008

2. Michael A. Hitt, J. Stewart Black, Lyman W. Porter. Management. Pearson Education, Inc., 2005
3. Samuel C. Certo, S. Trevis Certo. Modern Management. Pearson Education, Inc., 2006
4. Gareth R. Gones, Jennifer M. George. Essentials of Contemporary Management. McGraw –Hill Companies, Inc. 2004
5. The Portable MBA in Managemnent. A. R. Cohen NY, 2002
6. David Boddy, Robert Paton. Management. Prentice Hall Europe, 1998.
7. Peter Doyle. Marketing Management and Strategy. Prentice Hall Europe, 1999.
8. Philip Kotler Marketing Management. Prentice Hall International, Inc. 1999
9. Schermeron, Jr. John R., Hunt James G., Osborn N. Richard., Organizational Behavior.John Willey & Sons Inc., 2003
10. Donald R.Brown,Don Harvey.An experimental approach to organizational development. Pearson Education, Inc., 2006
11. Gary Dessler. Human Resource Management. Pearson Education, Inc., 2005
12. Jay Heizer, Barry Render. Operations Management. Pearson Education, Inc., 2006
13. Arthur A. Thompson, jr., A. J. Strickland III. Strategic Management. Irwin Inc. 1993
14. Mason A. Carpenter, Wm. Gerard Sanders. Strategic Management. Pearson Education, Inc., 2007
15. James C. Van Horne, John M. Wachowicr Jr. Fundamentals of Financial Management. Pearson Education, Inc., 2005
16. Jay M. Shafritz, E.W.Russell, Christopher P. Borick. Introducing Public Administration, Pearson Education, Inc., 2007
17. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф., Основы менеджмента, М., 1992
18. Дафт Р. Л., Менеджмент, Спб., 2001
19. Джордж Дж.М., Джоунс Г. Р., Организационное поведение: основы управления. М., 2003
20. Классики менеджмента /Под ред. М. Уорена, Спб., 2001